“ონავრობის რუკა” ხელოვნების გაკვეთილზე

გზამკვლევი

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

დიზაინი ხათუნა ციხელაშვილი

საფეხური: დაწყებითი (V-VI)

რესურსის მიზანი: შენობის გეგმის შესახებ წინარე ცოდნის გააქტიურება და ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება.

სარეკომენდაციო თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩემ გარშემო

მეთოდი: რესურსში გამოყენებულია კონსტრუქტივისტული სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და საკითხის გააზრებას.

რესურსის მოსალოდნელი შედეგი: აქტიურდება წინარე ცოდნა არქიტექტურის შესახებ. მოსწავლეები ჰარი პოტერის სათავგადასავლო სერიაში არაერთხელ ნახსენები ნივთის, „ონავრობის რუკის“ დახმარებით გაიხსენებენ, რას ნიშნავს შენობის გეგმა. ამავდროულად, ბავშვები შეეცდებიან „ონავრობის რუკის“ ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

გაკვეთილის თემა არქიტექტურას შეეხება. მასწავლებლის მიზანია, მოსწავლეებს გააზრებინოს შენობის გეგმის მნიშვნელობა. ამ მიზნის მიღწევაში კი მასწავლებელს ჰარი პოტერის სათავგადასავლო სერიიდან კონკრეტული ეპიზოდი დაეხმარება.

ნაბიჯი 1

თავდაპირველად, მასწავლებელი მოსწავლეებს იმ ეპიზოდს ახსენებს, როდესაც ძმები უისლები ჰარის ონავრობის რუკას აჩუქებენ. მასწავლებელი მოსწავლეებს ამობეჭდილი ტექსტის გაცნობასა და კითხვებზე პასუხის გაცემას სთხოვს. პარალელურად, მასწავლებელი პრეზენტაციის დახმარებით ტექსტის შესაბამის სლაიდებს უჩვენებს მოსწავლეებს.

პასუხები

1. ჰარი და მისი მეგობრები საწერად იყენებენ პერგამენტს, მელანსა და ბატის ფრთას.
2. პერგამენტი, რომლის ქართული შესატყვისი ეტრატია, დამზადებული იყო ცხოველის ტყავისგან. მელანს ამზადებდნენ მინერალებისგან.
3. პერგამენტს ჰქონდა გრაგნილის ან დღევანდელი წიგნის (კოდექსის) ფორმა.
4. დღევანდელი კალმის ფუნქციას ბატის ფრთა ითავსებდა.

მოსწავლეებისგან უკუკავშირის მიღების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს აღნიშნულ ეპიზოდს პრეზენტაციაში მითითებული ბმულის დახმარებით უჩვენებს. (პრეზენტაცია)

ნაბიჯი 2

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დააკონკრეტონ რა შინაარსობრივი დატვირთა აქვს "ონავრობის რუკას", რა ფორმით არის წარმოდგენილი ჰოგვორტსის სასახლე და მისი შემოგარენი.

ნაბიჯი 3

მოსწავლეებისგან უკუკავშირის მიღების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს, თუ რა ნიშნავს შენობის გეგმა. განმარტება ასეთია: გეგმა არის ნახაზი, შენობის ჰორიზონტალური ჭრილის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც სიბრტყეზე სრულდება. გეგმაზე ასახულია მთლიანად ადგილი ან რაიმე შენობა . მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ გაკვეთილის საბოლოო მიზანი სკოლის შენობის გეგმის "ონავრობის რუკის" სტილში დახაზვაა. თუმცა იქამდე მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად რამდენიმე "ჯადოქრული" აქტივობა უნდა განახორციელოს.

აქტივობა 1: ჯადოსნური ჯოხების დამზადება

ჯადოსნური ჯოხის დამზადებამდე გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჯოხების საუკეთესოდ მცოდნე ბატონი ოლივანდერის მოსაზრება: არცერთი ჯადოსნური ჯოხი არ ჰგავს ერთმანეთს. თითოეული ჯადოსნური ჯოხი მფლობელის მსგავსად უნიკალურია .

რესურსი: ფანქარი, ქაღალდი, ქაღალდის წებო, მაკრატელი, საღებავი, ფუნჯი, ე.წ. ცხელი წებოს თოფი, ხის ჩხირები.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, თუკი მეორე ვარიანტს აირჩევთ, ე.წ. ცხელი წებოს თოფის გამოყენების შემდეგ საჭიროა წებო კარგად გაშრეს და შემდეგ დაიწყოთ შეღებვა.

ჯადოსნური ჯოხის დასამზადებელი დამხმარე ბმულები:

ვიდეო N 1

ვიდეო N 2

აქტივობა 2: ჯგუფური სამუშაო “ონავრობის რუკაზე”

"ონავრობის რუკის" გამოყენების ინსტრუქცია: გაკვეთილის დაწყებამდე საჭიროა, რომ მასწავლებელმა სავარჯიშოს კატეგორიაში განთავსებული "ონავრობის რუკის" PDF ფაილი ამობეჭდოს. გაკვეთილის დაწყებისას კლასი უნდა დაჰყოს ოთხ ჯგუფად და ამობეჭდილი "ონავრობის რუკა" (PDF ფაილი) დავალებების შესასრულებლად დაურიგოს.

რეკომენდაცია მასწავლებელს ოთხივე ჯგუფისთვის: მასწავლებელი "ონავრობის რუკის" დახმარებით მოსწავლეებს მარშრუტის დაგეგმვაში უნდა დაეხმაროს. მასწავლებელმა ბავშვებს უნდა აუხსნას, რომ რუკაზე ანუ გეგმაზე სასახლის დარბაზებისა თუ ოთახების მოხაზულობებია გამოსახული. შესაბამისად, მოხაზულობის გაფერმკრთალებული ან ღიად დატოვებული მცირე არე არის შემოსავლელი ან გასავლელი. აქტივობის დაწყებამდე აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა მოიმარჯვონ თავიანთი "ჯადოსნური ჯოხები", რუკას მსუბუქად შეახონ და წარმოთქვან: "ვფიცავ, რომ მოვაწყობ ოინებს, მხოლოდ ოინებს და არაფერს ოინების გარდა!" ოინის მოწყობის შემდეგ კი ჯოხი ისევ უნდა შეახონ რუკას და თქვან: "ოინი გამომივიდა!"

პირველი ჯგუფი:

ჰარი პოტერი ბნელი ძალებისგან თავდაცვის ოთახშია. ონავრობის რუკის დახმარებით ცდილობს ჰოგსმიდში მოხვედრას, რათა საიდუმლოდ შეხვდეს ნათლიას - სირიუს ბლექს. ამასთანავე, ჰარიმ იცის, რომ რონი და ჰერმიონი დაკარგული ჯოხების ოთახში ელოდებიან. ამიტომ ჯერ მათ უნდა შეხვდეს, რათა ჰოგსმიდის გზას ერთად დაადგნენ. ჩვენი მოსწავლეების მიზანია, მოიფიქრონ პატარა ამბავი ჰარისა და სირიუს ბლექის შეხვედრის შესახებ და დაეხმარონ ჰარის, რონსა და ჰერმიონს სასახლიდან გასვლასა და ჰოგსმიდისკენ გზის გაგნებაში.

მოცემული დავალების შესასრულებლად გთავაზობთ ვარიანტს: იმისთვის, რომ ჰარი ბნელი ძალებისგან თავდაცვის საკლასო ოთახიდან (Defence Against the Dark Arts classroom) მეგობრებთან აღმოჩნდეს, ჯერ უნდა გაიაროს სერპენტინის დერეფანი (Serpentine Corridor) და დაკარგული ჯოხების ოთახში შევიდეს. ამის შემდეგ მოსწავლეებმა გზად უნდა გაიარონ თავდაცვითი კოშკი (Hogwarts Turris Magnus), ჩრდილოეთით გვერდი აუარონ წამლებისა და შხამების (Passage to Potions) გასასვლელს, წავიდნენ სამხრეთისკენ, შემდეგ მოხვდნენ ეზოში (Way to Courtyard), ეზოდან შევიდნენ სასახლის აღმოსავლეთ ნაწილში, სამზარეულოში (undercover route to the kitchens). გრძელი დერეფნების გავლის შემდეგ მოსწავლეები მოხვდებიან პირველი სართულის (ქვედა პალატების) ჩრდილო-აღმოსავლეთ დერეფანში (Lower Chambers Corridor North-East), რომელსაც ჰოგსმიდისკენ მიმავალი გზა (Unexplored passage to Hogsmeade) უერთდება.

მეორე ჯგუფი:

ფრედ და ჯორჯ უისლები აკრძალულ ბიბლიოთეკაში შეიპარნენ, რათა მოეძებნათ წიგნი, რომელიც ჰარის ბოროტ ჯადოქარ ვოლდემორთან ბრძოლაში დაეხმარება. ახლა კი ხელნაწერ წიგნთან ერთად საათის კოშკში იმალებიან. მათი მიზანია სასახლიდან გასვლა და ჰოგსმიდში მოხვედრა. მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ პატარა ამბავი, რა შეიძლება წიგნში ეწეროს და როგორ შეიძლება ის ჰარის დაეხმაროს. ამის შემდეგ ჯგუფმა ონავრობის რუკის გამოყენებით ძმებისთვის მარშრუტი უნდა დაგეგმონ, გზა უჩვენონ, თუ როგორ მოხვდნენ საათის კოშკიდან ჰოგსმიდის გზაზე.

მოცემული დავალების შესასრულებლად გთავაზობთ ვარიანტს: რუკაზე საათის კოშკი (Clocktower) სამი დარბაზისგან შედგება. მესამე დარბაზიდან ძმები მოხვდებიან კორიდორში (Aedifecium Ortnes). უისლების დავალებაა, რომ მხოლოდ წინ, ჩრდილოეთისკენ იარონ, გვერდი აუქციონ მცირე და დიდ პალატებს, დასავლეთის მხრიდან შემოუარონ კოშკს (Hogwarts Turris Medivs) და პირველი სართულის (ქვედა პალატების) ჩრდილო-აღმოსავლეთ დერეფნის გავლით (Lower Chambers Corridor North-East) დაადგნენ ჰოგსმიდისკენ მიმავალ ბილიკს (Unexplored passage to Hogsmeade).

მესამე ჯგუფი:

სკოლაში ხმა გავარდა, რომ უწყინარ ტროლს გზა აებნა, სამალავი დატოვა და ჰოგვორტსის დერეფნებში დასეირნობს. მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, რომ ჰაგრიდთან ერთად ონავრობის რუკის დახმარებით ტროლს გზის მოძებნაში დაეხმარონ და ე.წ. ბნელ ტყემდე მიაცილონ. მოსწავლეების დავალებაა, ჰოგვორტსის ყველა დერეფნიდან ე.წ. ბნელ ტყემდე მარშრუტი განსაზღვრონ.

მოცემული დავალების შესასრულებლად გთავაზობთ ვარიანტს: მოსწავლეებს შეუძლიათ სერპენტინის დერეფანს (Serpentine Corridor) ჩრდილოეთით გაუყვნენ, ყველა დარბაზს გვერდი აუქციონ და პირდაპირ ე.წ. ბნელ ტყეში მიაცილონ ტროლი.

მეოთხე ჯგუფი:

დერეფნებში მოსეირნე ტროლმა პირველკურსელები ცოტა შეაშინა. ამიტომ პროფესორ დამბლდორის გადაწყვეტილებით ყველა პირველკურსელმა ციხე-სიმაგრის დასავლეთ ნაწილიდან აღმოსავლეთით

უნდა გადაინაცვლოს. ჩვენი მოსწავლეების დავალებაა, რომ არითმანტიკის საკლასო ოთახიდან შენობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილის კოშკში ბავშვებისთვის მარშრუტი დაგეგმონ.

შენიშვნა:

ჰოგვორტსის სკოლაში არითმანტიკა იყო საგანი, რომელიც რიცხვების მაგიურ თვისებებს სწავლობდა .

მოცემული დავალების შესასრულებლად გთავაზობთ ვარიანტს: არითმანტიკის საკლასო ოთახიდან მოსწავლეებს შეუძლიათ სერპენტინის დერეფნით (Serpentine Corridor) დაკარგული ჯოხების ოთახში აღმოჩნდნენ. შემდეგ კი - თავდაცვით კოშკში (Hogwarts Turris Magnus). თავდაცვითი კოშკიდან კი წამლებისა და შხამების (Passage to Potions) გასასვლელის გავლით აღმოსავლეთისკენ დაიძვრებიან. Prowling Passage-ის დერეფნის გავლით მოსწავლეები სასახლის აღმოსავლეთ ნაწილში გადაინაცვლებენ. შემდეგ უნდა წავიდნენ ჩრდილოეთით და რუკაზე გამოსახულ, უკიდურესი აღმოსავლეთით, კოშკში (Hogwarts Turris Magnus) აღმოჩნდებიან.

აქტივობა 3: სკოლის გეგმის დახაზვა

მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა სთხოვოს, წარმოიდგინონ, რომ არიან ჰარი პოტერის სათავგადასავლო სერიის პერსონაჟები, "ყოველ უცელქეს ჯადოქართა შემწე-დამხმარენი, პატივცემული მთვარეულა, გრძელკუდა, მაწანწალა და ქორბუდა". მათ მსგავსად ჩვენი მოსწავლეების მიზანია გეგმის დახაზვა ანუ სკოლის შენობის „ონავრობის რუკის" შექმნა.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

ნაბიჯი 1

თავდაპირველად მასწავლებელი მოსწავლეებს სკოლის შენობის ან ერთი სართულის ნახაზის შექმნას ასწავლის. მნიშვნელოვანია, რომ პირველი ნახაზი მასწავლებელმა დაფაზე თვალსაჩინოებისთვის შექმნას. გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შენობის გეომეტრიული ფორმა და კლასების განლაგება. ასევე ნახაზზე აღნიშნული უნდა იყოს მთავარი შემოსასვლელი.

ნაბიჯი 2

სკოლის გეგმის შედგენის შემდეგ შესაძლებელია, იმავე გეგმამ უფრო შემოქმედებითი სახე მიიღოს და ონავრობის რუკის სტილში დაიხაზოს. ასე მაგალითად: შესაძლებელია ფურცელს დაძველების ეფექტი მიეცეს და წყვეტილი ხაზებითა თუ აღნიშვნებით მასზე გაკეთდეს სკოლის გეგმა.

ნაბიჯი 3

სკოლის ონავრობის რუკაზე მუშაობის დასრულების შემდეგ აუცილებელია, მოსწავლეებმა წინა გაკვეთილზე დამზადებული ჯოხები გამოიყენონ და რუკის დაკეცვისას წარმოთქვან ჯადოსნური ფრაზა: “ოინი გამომივიდა!”

რესურსი:

A4 ზომის ქაღალდი, მაკრატელი, შავი ფანქარი, სახაზავი, საღებავი (ბმულებში მითითებულ ვიდეოებში საღებავის მაგივრად ხსნადი ყავაა გამოყენებული), ფუნჯი.

პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისთვის დამხმარე ბმულები:

https://www.youtube.com/watch?v=PeeX-kr8Ys4 - ფურცლის დაძველების ეფექტის მიღება (ვარიანტი 1)

https://www.youtube.com/watch?v=HZgebY0sTHs - ფურცლის დაძველების ეფექტის მიღება (ვარიანტი 2)

https://www.youtube.com/watch?v=VzVd3BFsdkQ - შენობის გეგმა ონავრობის რუკის სტილში (ვარიანტი 1)

https://www.youtube.com/watch?v=jGhVmeY58Os - შენობის გეგმა ონავრობის რუკის სტილში (ვარიანტი 2)

https://www.youtube.com/watch?v=HI_ZMJt9PQw - არქიტექტურა ბავშვებისთვის

https://www.youtube.com/watch?v=2IzbSUNwZjs - შენობის გეგმა ბავშვებისთვის

https://www.youtube.com/watch?v=4CjmdotSBsM - ოთახის გეგმა ბავშვებისთვის